ვინც დაემსგავსა რომელიმე ხალხს - ის მათგანია

გადმოცემულია იბნ უმარისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), რომ მან თქვა: შუამავალმა (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) თქვა: «ვინც დაემსგავსა რომელიმე ხალხს - ის მათგანია».

[კარგი (ჰასან)] [გადმოსცა აბუ დაუდმა და აჰმადმა]

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ვინც ემსგავსება ურწმუნოებს, ცოდვილებს ან მორწმუნეებს, რომლებიც აკეთებენ რაღაცას, რაც მხოლოდ მათ შეხედულებებს, თაყვანისცემას ან ჩვეულებებს უკავშირდება, ხდება ერთ-ერთი მათგანი. გარეგანი მსგავსება იწვევს შინაგან მსგავსებასაც. უდავოა, რომ ხალხის მიბაძვა ხდება მათით აღტაცების შედეგად, რაც შეიძლება გამოიწვიოს მათ მიმართ სიყვარულის, პატივისცემისა და ნდობის გამოხატვას. ამან კი, თავის მხრივ, შეიძლება მიგვიყვანოს იქამდე, რომ ადამიანი შიგნიდანაც და თაყვანისცემაშიც მათ ემსგავსება. ალლაჰს შევეფარებით ამისგან!

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/5353